ცნობი

№ 39

ხუთშაბათი,

20 აგვისტო

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ-ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: სხვადასხვაგვარი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგზავრო განცხადების დაბეჭდვა თითო ჯერ საღამოს 5 სათამდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ აბრუნებს. მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ ეწევიან.** ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე განკარგულების საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილებით პასუხისათვის საჭიროა საფასტე მარკები. ჭკვილები სუფთად უნდა იქნას დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორს სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. **ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

ოზურგეთში

კვირას, 23 მარიამობისთვეს

ოზურგეთის
რეალურ სასწავლებლის
სასარგებლოთ
გაიმართება დიდი სახალხო

სეირნობა

შემდეგი პროგრამით:

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, ითამაშებენ ლეკურს, ჰაერში გაუშვებენ მაშხალებს, **ჭიდაობა,** ლატარეია-ალეგრი, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრათ მიიღებს მამალს. ლატარეიაში ჩაგდებულია **ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგირით, სამოვარი, საათი, გიტარა** და სხ. მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომლებიც ვსთხოვთ მისცენ ულამაზეს მოსეირნეთ შორის. ვინც რიცხვით მეტ კონტრამარკას მიიღებს საჩუქრათ მიეცემა ოქროს ჟეტონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები,—კაცს ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ დიმ. ერისთავის სახელზე ფულით და ნივთით. (4—1)

ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ. **დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.**

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. ბ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეახერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეახერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ა. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუხხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—40

კაბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ჭუჭის ახლოს)

ქ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წვრილისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—8)

აბასთუმანში

კაბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკარიანისა № 42.

საჭირო არის **გაზეთის გამყიდველი**—ხაშში და ახალქალაქში, დღეში დარჩება 1 მ. 50 კ.

პირობების გაგება შეიძლება სამტრედიის აგენტთან. საჭირო არის ბე. (5—5)

თფილისი, 20 აგვისტო

არის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ყოველი ადამიანი თავის მოვალეობათ რაცხს პატივი სცეს თვის მოწინააღმდეგესაც კი.. ძველი რომაელები იტყოდენ: მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა, **ან** სრულიად არაფერიო. ეს ელემენტარული მოთხოვნილებაა უბრალო **საზოგადოებრივ ეთიკის,** ეს იმდენათ პრიმიტიულია, რომ ჩვენ არსად შეგვხვედრია მისი დარღვევა და მიცვალებულის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამზე თავის ანგარიშების გასწორება და განგაშის ატეხა, მარა არის ისეთი ყოველ ეთიკას მოკლებული, უკაცრავათ მოხსენებაა—გაზეთი, რომელსაც „ივერია“ ეწოდება და რომელიც ყველა ამას არ დაგიდევს. იგი ერთი მიზნითაა გამსჭვალული: უკბინოს, დაამციროს ის მიმართულება, რომელიც მას არ მოსწონს. ჩვენ გვწამს ბრძოლა, მარა ბრძოლა საზოგადოებრივ ეთიკის ფარგლებში და არა ყოველ წრეს გადასული და ადამიანის წმინდათა წმინდათა გრძნობების შემლახველი. სწორეთ ასეთი სამარცხვინო გამოლაშქრებაა „ივერიაში“ სევ. ჯუღელის დასაფლავების გამო. მიცვალებულის დასაფლავება მას მისი აზრების და მოღვაწეობის დასამცირებელ საბაბათ უხმარია და მოყოლია ყანგაშს. ის ყველა ერთა ქომაგობას იჩემებდა, ახლა კი მარტო ქართველები გაყვენო. ამ მეორშაბათეს ასეთ ლათაიებს ჩვენ ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ეს მას სისტემათ არ გადაექცია: ჯერ კიდევ, არჩ. ჯაფარიძის დასაფლავების დროს მან საჭიროთ დაინახა მისი დამცირება და იმ საყურადღებო ერთსულოვნობის გაჭარწყვლება, რომელიც დამარხვაზე გამოიჩინეს თფილისის ყველა მცხოვრებლებმა, მარა ეს იყო მხოლოდ მისი ღვარძლიანი გული და შურიანი უძლურების ნაყოფი და შეიძლებოდა ამაზე პასუხი არ გაგვეცა. ახლა კი, ის ამ ღვარძლიანობას პროვოკატორულ ჰორებსაც ზედ უმატებს. სომხები არ დაესწრენ და კარგათაც ქნეს, რა სომხების სადარდელია თუ ქართველი ესდეკი მოკვდაო.

დღეს ჩვენ გაზეთში მოთავსებულია თვით სომხების პროტესტი, რომელნიც სამართლიანათ გმობენ და შესაფერ სახელს აძლევენ ამგვარ მოქმედებას. ჩვენც ჩვენის მხრით არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ „ივერიის“ უთვალ-ყურო მეთვალყურეს აბა სად შეეძლო გაერჩია, ვინ დაესწრო და ვინ არა და ვის დაწვა გული მისმა უდროოთ დაკარგვამ. მან თვითონაც იცის, რომ სომხების ის ნაწილი, ის შრომის უღელში გაბმული ელემენტები, რომელთაც არ სწყმთ შოვინისტური სისინი და გულღვარძლიანობა, რომელნიც ყველა ერთა მშრომელთ ერთი თვალით უყურებენ და ტანისამოსით არ არჩევენ მტერ-მოყვარეს, დიდათაც იგლოვეს და პატივიც სცეს სევ. ჯუღელის ხსოვნას, მარა კმარა... „ივერიის“ გულის ამღვრევ წერილს ვინც წაიკითხავს, ყველა მიხვდება, რა ზნეობრივი ავლა-დიდების პატრონი უნდა იყვეს მისი დამწერი. სასირცხვოა, რომ ასეთი აზრების დამწერს გაზეთში აქვს ადგილი, თუნდა საორშაბათოში.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 აგვისტო.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლი. ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს დაეცალა გამოაცხადოს, რომ გაზეთ „ტან“-იდან პეტერბურგის გაზეთებში გადმობეჭდილი ცნობა ელჩ ჩარიკოვთან ინტერვიუს შესახებ, გადმოცემულია არა სისწორით და ელჩის დაუკითხავათ არის დაბეჭდილი.

კონსტანტინოპოლი. ვაჭრობის მინისტრი ნორადუგიანი სამსახურიდან გადადგა.

აქაური ევროპის ფოსტა, როგორც ოსმალეთის უკანვე აბრუნებს კრიტოსიდან მოსულ იმ კორესპონდენციებს, რომლებსაც საბერძნეთის მარკები აკრავს.

რუსეთი

ვარშავა. სამხედრო სასამართლოში გაირჩა ხუთი კაცის საქმე. მათ აბრალებდენ სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობას და მაისში ლიუბლინსკის პოლიცმეისტერის ულიხის მოკვლაში მონაწილეობის მიღებას. ამათგან სამს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ორი გაამართლეს.

ადესა. გუშინ „გოროდოვოიმ“ რევოლვერის ოთხი ტყვიით მოკლა პოქაული, თავისი საყვარელი, პოქაულის ყოფილი მზარეული ქალი და ბოლოს თვითონაც თავი მოიკლა.

ვლადივოსტოკი. ტაიშინხეს რკინის გზის ლიანდაგზე ხუნხუზებმა ქვები დაყარეს, დასწვეს 2,500 კუბიკური საჟენი შეშა და გაიქცენ. მათ საზღვრის დარაჯთა რაზმი გამოუდგა.

ხარკოვი. კარპოობრივის საზოგადოების მაღაროში, მაკაევკის ახლოს ცეცხლის გაჩენის დროს გამოიხრჩო ოთხი მუშა.

ტულა. სახელმწ-ფო საბჭოს წევრთა ამრჩევლებათ აირჩიეს თავათ-აზნაურთაგან ვენევსკის სამაზრო თავადაზნაურთა წინამძღოლი პოპოვი და ეფრემოვსკის მემამულე თავადი ლობანოვ-რასტოვსკი.

ტამბოვი. გუშინ კოზლოვსკის მაზრაში ფინანსთა მინისტრმა, ტამბოვის გუბერნატორის, საგლეხო ბანკის მმართველის და სხვა პირების თანხლებით ინახულა საგლეხო ბანკის მაშვალი.

სევასტოპოლი. სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო ზღვის ქვეშ მავალ ნავის „კამბოლა“-ს დაღუპვის საქმის გარჩევა. ბრალს სდებენ გემ „როსტისლავი“-ს და „კამბოლის“ უფროსებს.

ადესა. სადგურ ადესა-ზაკატავას ახლოს საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახენ. დაიმტვრა სამი ვაგონი, ერთი მატარებლის და მეორესი ორთქმავალი. საქონელი დაზიანდა.

ალექსანდროვსკი. კრივოი-როგში ცეცხლი უკვე ჩააქრეს. დაიწვა 450 სახლი, ფოსტა, სახელმწიფო არყის დუქნები, პურის და საქონლის სადგური. ზარალი მილიონ მანეთამდეა. 5000 კაცი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ერობა დახმარებას უწევს სურსათით. შესდგა კომიტეტი შემოწირულების შესაგროვებლათ.

ხოლერა.

მოგილევი. სენეჟკის მაზრის ოთხ სოფელში ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 3.

პერმი. ქალაქში ავათ გახდა 2, მაზრაში მოკვდა 1.

რეველი. კრენგოლმში მოკვდა 1, იოამიმსტალში ავათ გახდა 3, მოკვდა 2.

იაროსლავლი. ოთხ დღე და ღამეში ავათ გახდა 19, რიბინსკში 15, რომანობორისოგლებსკში 4; იაროსლავში მოკვდა 8, რიბინსკში—10.

საზღვარ-გარეთ

სოფია. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: უცხოეთის ზოგიერთ გაზეთებში უკანასკნელ ხანებში მოათავსეს ცნობები, თითქო ბულგარეთი ოსმალეთის წინააღმდეგ სამზათ ემზადებოდეს. ასეთი ცნობები ყოვლათ უსაბუთო და ყალბია. არავითარი მზადება არ ყოფილა ბუდაპეშტში. ალბათ, მინდვრის სამუშაოდან დაბრუნებული სალდათები, სათადარიგო ჯარის კაცებათ მიიღეს.

სტოკჰოლმი. მთავრობამ განიხილა შუამავლობის შესახებ წინადადება და იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ არავითარი საბუთი არა აქვს ჩაერიოს მუშათა და ხაზეინების დავაში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დადგენილების შესახებ განაცხადა, რომ საყოველთაო გაფიცვა მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამიტომ საჭიროა გაფიცვის ხელმძღვანელთა დაჭერა. მუშათა ბელადები უნდა გამოტყდენ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა, სანამ ამას არ იზამენ, შუამავლობაზე ლაპარაკიც მეტია.

ბერლინი. აქ დაარსდა საზოგადოება, რომელიც შემოიტანს რუსეთიდან განსაკუთრებით სანოვაგეს. საზოგადოებას მიზნათ აქვს გააცნოს რუსეთის ექსპორტერებს როგორ უნდა შეახვიონ საქონელი გასაგზავნათ.

პარიჟი. რამბულიეში მოხდა მინისტრთა სხდომა. პიშონი არ დაესწრო. ბრიანმა შეატყობინა თუ რა ზომები მიიღეს მაროკოს სულთნის შფოთის გასაქარწყლებლად, რომ ძალა დაატანონ მას შესწუეტოს რაგის მომხრეთა წამება.

კოპენჰაგენი. დიდის კონგრესის განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფ დეგერბეგმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებზე შეთანხმების დიდ მნიშვნელობას ექნება დანიის არსებობისთვის და არ შეიძლება გულ-გრილი მოგვეკიდოთო.

როტტერდამი. ხიდერათ ავათ არის 17 კაცი. გუშინს აქეთ მოკვდა 2. შეიწერის ტოლს და ბავშვებს ხიდერის ნიშნები ამოაჩნდათ. დიმით ორივე კარდიცივდა. ავათმუოფობას გურცელების მიზეზით სთვლიან იმას, რომ მდინარის წყლს ხმარობენ სასმელათ.

ამსტერდამი. გრანზემს და ბრედში თითო კაცი კიდა ავათ ხოლერით.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

ფიდაების გაგზავნა. ამას წინათ ზანდჟანის მონარქისტებმა ადგილობრივ რევოლიუციონერებს სცემეს. მათ წინააღმდეგ თეირანიდან ფიდაების ძლიერი რაზმი გაიგზავნა. რაზმი 200 კაცისაგან შესდგება. მათ დავალებული აქვთ აგრეთვე მთელი არდაბილის ოლქის დამშვიდება. რაზმის ნაწილი უკვე მივიდა რეშტში. ადგილობრივი ფიდაები მათ სიხარულით მიეგებენ.

ყოფილი შახის ახალი ბინა. ყოფილი შახი, როგორც ვიცით, ადესაში აპირებს დასახლებას. ყოფილი შახი დღემდის უნდა გასულიყო სპარსეთის საზღვრებიდან, მაგრამ დაგვიანდა იმიტომ, რომ რუსეთის მისიას მოლაპარაკება აქვს სპარსეთის მთავრობასთან, იმ პირების შესახებ, რომლებიც ბესტში სხედან და ყოფილ შახთან ერთათ სპარსეთიდან გასვლას ცდილობენ. რუსეთის მისია მოითხოვს, რომ მთავრობამ ყველა ამათ პასპორტები მისცეს და ვალებიც აპატიოს. სპარსეთის მთავრობა კი უარზეა. ის აცხადებს, რომ სახელმწიფო ხაზინა ისედაც ცალიერია და ვალების პატიება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ბალადურ-ჯენგს ძალიან დიდი ვალი აქვს ხაზინისო. როგორც კი ეს კითხვა ასე თუ ისე გადაწყდება—შახი მაშინვე გადასახლდება ადესაში.

რეაქციონური მოძრაობა „რ. სლ.“ ატყობინებენ, რომ რეაქციონური მოძრაობა სპარსეთში თანდათან ძლიერდება. თეირანში გახშირდა ახალგაზრდა საიდუმლო ორგანიზაციები. ღამობით ხდება ზილი-სალთანეს და ყოფილი შახის მომხრეების კრება. რეაქციონერებს ხელს უწყობენ ბანკირები. რამდენიმე გამოჩენილი რეაქციონერი ფიდაებმა დაატყვევეს. ხმები დადის, რომ მალე არეულობა მოხდება და საქმეში უცხო სახელმწიფოები ჩამოერევიან. მთავრობის წევრთა

ᐊᓂᓈᓇᐃᐧᐣ ᐊᐢᑲᐅᐢᑲᐅᐢ!

— ᐅᓇᓕᐢᑲᐅᐢᑲᐅᐢ, ᐊᓂᓈᓇᐃᐧᐣ ᐊ

გამოჰყავს, რომ ქვეყანა კვლავ გამოიღვიძებს. ის დარწმუნებულია, რომ ვიდრე განახლების პროცესი ძრ დამთავრებულა, ნორმალური ცხოვრება რუსეთში წარმოუდგენელია და არ შეუძლია დაეთანხმოს კიდეც ავტორს, რომელსაც სჯერა, რომ „ნორმალური ცხოვრება მაშინ დაიწყება, როდესაც რუსეთში სამხედრო წესები მოიხსნებაო“. დღევანდელი პოლიტიკური მომენტი ასეთ მოთხოვნას უყენებს ქართველ სტუდენტობის ამ ნაწილს: რაც შეიძლება მეტი მზადება, მზადება ღრმა, მუყაითი და სერიოზული. მზადება პრაქტიკული და თეორეტიული, შევსება იმ ნაკლთა, რომელნიც თან ახლდა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მზადება სამუშაოთ, სახელმძღვანელოთ მომავალში და დღეს კი ვისაც, პრაქტიკული მუშაობა სურს და შეუძლია ნიადაგის თანდათანი გამაგრება, რეაქციის ქარიშხალით გაფანტული ერთეულების შეგროვება, დანგრეული „იაჩეიკების“ აღდგენა და სხ. აი, სათი უნდა იყოს მისი ღრმა რწმენით მიმართული სურვილი, ენერგია და ცოდნა და ამიტომ „სამშობლო ნიადაგიც“ ჰკარგავს მის თვალში იმ განსაკუთრებულ, ანდა-მანტურ მნიშვნელობას, რომელსაც მას აკუთვნებს ავტორი—და მისთვის პრინციპიალურათ სულ ერთი ხდება რუსი და ქართველი მუშა, რუსი და ქართველი გლეხი.

მიუხედავათ იმისა, რომ წერა-კითხვის გავრცელება, ბიბლიოთეკების და შკოლების გახსნა, წარმოდგენების გამართვა და ბუნების შესახებ ლექციების კითხვა თავისთავათ ძალიან სიმპატიური საქმეა, მაგრამ მე მას საჭიროთ საქმეთ მაინც არ ვსთვლი. აღნიშნულმა რევოლიუციონურმა ელემენტებმა რომ იტვირთოს ამ საქმის წარმოება და ასეთი კულტურული პროგრამა დაიყენოს წინ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდ ზარალს და ვნებას მოუტანს ხალხის პოლიტიკურ განთავისუფლებას და მის ეკონომიურ აღორძინებას. ამის ახსნა-განმარტებას მე აქ აღარ შევუდგები, რადგან ეს ყველასათვის აშკარა და ნათელია.—თუ ყოველივე ზემოთ მოხსენებულს მივიღებთ მხედველობაში, ავტორის მოურიდებელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ „საერთო კულტურული მუშაობა, აი—ის მინიმუმი, რომლის გარშემო შეკავშირებაც შესაძლებლათ მიაჩნიათ თითქმის ყველა უნივერსიტეტებსო“, „აღარ არსებობს ის სიმწვავე ზოგიერთ საკითხების შესახებ, როგორიც წინეთ არსებობდა“ და „სულიერი განწყობილება ქართველ სტუდენტებისა იმნაირია, რომ მათ შეუძლიათ შეთანხმებაო“ და სხ. მის ვიწრო საზრიანობას, სიბეცეს და სრულ გაუგებრობას უნდა მიეწეროს.

ეხლა სხვანაირათ დავაყენოთ კითხვა და სხვა მხრით შევხედოთ მას. შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში, როცა წელში გამაგრებული რეაქცია აღშობს ყოველ კულტურულ საქმეს—განმანათლებელ საზოგადოებებს, კოოპერატიულ და პროფესიონალურ კავშირებს, როცა შვარცის წესდებით აკრძალულია და კანონის ძალით კიდეც მოსპობილი ყოველგვარი ორგანიზაციები უნივერსიტეტში, სტუდენტური კავშირის დაარსება და ისიც ისეთი კავშირის, რომელსაც საქართველოში—ამ „რევოლიუციის ბუდეში“—მოქმედება დაუსახავს მიზნათ? ამაზე ავტორი ბეჯითათ გვიპასუხებს, რომ „ობიექტიური პირობები საქმის დამაბრკოლებელი ვერ გახდება, თუ თვით სტუდენტობამ მოისურვა ასეთი კავშირის დაარსებაო“. მე აქამდი არ მეგონა, რომ ქართველ სტუდენტობას ისეთი ძალა და ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას ობიექტიური პირობების წინააღმდეგ შეეძლო თავისი სურვილების სისრულეში მოყვანა. ჩემის აზრით ეს ახალი ამბავი დიდ სენსაციას მოახდენს ყველგან!.. მაგრამ თურმე ავტორს იმედი აქვს დუმის შავრაზმელების და მათი სულიერი ძმების—ოქტომბრისტების: „სათათბიროს ცენტრი და ზოგიერთი მემარჯვენენიც კი წინააღმდეგი არიან შვარცის პროექტისა. არ შეიძლება, რომ სათათბირომ ცოტაოდენი ცვლილება არ შეიტანოს შვარცის პროექტში და რამოდენიმე თავისუფლება მაინც არ მიანიჭოს სათვისტომ ოებსო—და აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მთავრობა აუცილებლათ დააკანონებს და დაამტკიცებს სტუდენტურ კავშირსო: „არ შეიძლება სტუდენტთა კავშირის განხორციელება არ მოხერხდესო“. რა ვუწოდოთ ასეთ მსჯელობას, თუ არ ბავშური ოპტიმიზმი?! ჩემის აზრით, რომელიც დამკვიდრებულია დუმის უმრავლესობის და მთავრობის მოქმედებაზე, ეს უმრავლესობა და მასთან ერთათ მთავრობაც ასე შეხედავს ამ საკითხს: სტუდენტების საქმე სწავლაა და არა კულტურის საზოგადოებების და კავშირების დაარსება და ხალხის კულტურულ-ეკონომიურ წინმსვლელობაზე ზრუნვაო... მაგრამ კმარა! მე ისედაც სიტყვა გამიგრძელდა. კიდევ ერთ შენიშვნაზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, ვიდრე უკანასკნელ წერტილს დავსვამდე.

„ქართველი სტუდენტობა თანდათან ქვეითდება ზნეობრივათ და გონებრივათო“ აცხადებს ავტორი, მაგრამ ცოტა ზევით ამბობს: „ზოგიერთ ქალაქებში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებიო“, ვეკითხები ავტორს—ქართული სამეცნიერო წრეების დაარსება ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითების მომასწავებელია, თუ პირიქით—მეცნიერული შეგნების განვითარების?

სტუდენტობა საზოგადოთ და კერძოთ ქართველი—არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულს. საზოგადოებრივმა განვითარებამ რუსეთის ცხოვრებაში გამოარკვია სხვადასხვა კლასობრივი ინტერესები და კლასთა შორის განწყობილება ცხადზე უცხადესი შეიქნა. ახლა შეუძლებელია ლოზუნგების უკან მოფარება. ყოველი პოლიტიკური პლატფორმა კლასობრივ ნიადაგზე სდგას და ყოველი სამოქმედო პროგრამა კლასობრივი ინტერესებით არის გაჟღენთილი. ამ დიადი საზოგადოებრივი სურათის პატარა სარკეა უნივერსიტეტიც. ჩვენ აქ ვხედავთ სწორეთ ისეთ იდეიურ დიფერენციაციას, რომელიც სავსებით შეეფერება რუსეთის ცხოვრებაში არსებულ კლასობრივ დიფერენციაციას. აქ, როგორც პროლეტარიატს, ისე წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიას და ფეოდალურ არისტოკრატიას ეჩრდება თავისი იდეოლოგები, თავისი დამცველნი და მებაირახტრენი. ჩვენს პატარა საქართველოშიაც აშკარათ გამოირკვა ფეოდალური, წვრილ-ბურჟუაზიული და პროლეტარული ინტერესები, რაც ჩვენებურ თავად-აზნაურთა შავრაზმელობაში, ეგრეთ წოდებულ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსებაში და სოციალდემოკრატიის გამარჯვებაში გამოიხატა.

ამის შემდეგ განა ისე გასაკვირვალია, რომ ზოგიერთი ქართველი სტუდენტები შავრაზმელ ორგანიზაციებში ჩაწერილან რუსეთში? ავტორი კი, ამ ფაქტს ქართველ სტუდენტების ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითების დასამტკიცებლათ ხმარობს. განა შეიძლება ამ ფაქტის ყველაზე გავრცელება და მისგან საზოგადო დასკვნის გამოყვანა? ეს აუცილებელი სოციალური მოვლენაა და ამიტომ მის წინააღმდეგ გრძნობების აღშფოთებით და პატეტიური სიტყვებით ვერაფერს გახდები, ამიტომ მას სადათ მოაზრე ადამიანმა გულგრილათ უნდა შეხედოს და ბრძოლა საზოგადოთ რეაქციის წინააღმდეგ უნდა მიმართოს. ავტორი კი უტიფრათ გაიძახის: არიან ისეთი „გათახსირებული ელემენტები“, რომელნიც ამ მოვლენას გულგრილათ უყურებენო. მე მგონია, როლში შესული ავტორი ამ უაზროთ ენიდან წამოგდებულ ფრაზას უკან წაიღებს და მეორეთ აღარ გაიმეორებს. შეიძლება მას ის აღშფოთებს, რომ ქართველი სტუდენტები რუს-შავრაზმელებს მიემხრენ და არა ქართველ შავრაზმელებს, მაგრამ ეს სულ ერთია! თუ ზოგიერთი უნივერსანტები საქართველოში ხულიგანობდენ რუსეთში რამ უნდა შეუშალოს ხელი? ზოგიერთი ცრუ პატრიოტი იტყვის, რომ ჩვენში კიდევ შეიძლება და მიეტოვება, რუსეთში კი სირცხვილია და თავის მოჭრააო, იმ რუსეთში, სადაც ქართველი და რევოლიუციონერი სინთიმი გონიათ, მაგრამ დროა ამ ფიქციას, ამ ცრუ წარმოდგენას ბოლო მოეღოს!

სერ. ჭავთარაძე

სამგლოვიარო წერილი

(სევ ჯულ. გარდაც. გამო.)

ღრმათ დაგვამწუხრა მუშათა ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლის სევერიანე ჯუღელის უეროოთ დაკარგვამ.

ბარგუშეთია ნავთის სადგურის მოსამს.-ხურვენი *)

*) ამ წერილთან ერთათ რედაქციამ მიიღო 1 მანეთი და ნ კ., რომელიც გადაეცა ს. ჯუტელის ოჯახობას.

ახალი ამბები

—

თათბირი ერობის შესახებ. 18 აგვისტოს თფილისის გუბერნატორის ლოზინო-ლოზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა თფილისის საგუბერნიო საერობო სათათბირო ბიუროს კრება. კრებამ იქონია მსჯელობა წინანდელ დადგენილების შესახებ, რომელიც შეეხება სხვადასხვა კუთხიდან საგუბერნიო კრებაზე, რომელიც მოხდება ოქტომბერში, დამსწრეთა რიცხვის განსაზღვრას. წინანდელმა კრებამ, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, დაადგინა—მოწვეულ იქნას 120 კაცი, მაგრამ, ვინაიდან სხვადასხვა სექციიდან მოხსენების და სხვა საკითხების განხილვა ძნელი იქნება ასეთ მრავალ რიცხოვან კრებაზე, კრებამ უმჯობესათ სცნო შემცირებულ იქნას მათი რიცხვი 60-მდე.

—დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოხდება საგუბერნიო საერობო სათათბიროს პირველი სექციის კრება. კრება განიხილავს ბ. აბელოვის მოხსენებას ერობის წყლის საქმესთან დამოკიდებულების შესახებ.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზ. გამგეობის** მორიგი კრება მოხდება დღეს. კრება განიხილავს საკითხს სტიპენდიების განაწილების შესახებ.

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** შეუთანხმდა ელექტრო-ტეხნიკს სულხანოვს აიღოს იჯარით თეატრი და ელექტრონის სადგური.

✦ **ბოროტ-გამზრახველების დაპატიმრება.** პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ ნიკოლოზის ქუჩაზე ცხოვრობს ორი ახალგაზდა კაცი, რომლებიც სხვადასხვა პირთაგან მუქარით ფულებს კრეფენ. ამის გამო, იმ ადგილას გაიგზავნა პოლიციის მოხელეები, რომლებმაც 18 აგვისტოს, დილის 6 საათზე სახლი № 46 ეზოში შეამჩნიეს ერთი მათგანი. ის იმ წამსვე დაპატიმრეს, ხოლო მეორემ, რომელიც ქუჩაში ელოდა, როგორც კი შეამჩნია, რომ მის ამხანაგს რაღაც შეემთხვევა, დაუძახა ქართულათ: „კოლია რა მოგივიდა“ და როცა გაიგო, რომ ის დაპატიმრეს, დაიწყო ეზოში რევოლვერის სროლა და შემდეგ მოინდომა გაქცევა. ერთმა პოლიციელმა 4 ჯერ ესროლა ბოროტ-გამზრახველს და შემდეგ დაეედევნა მას, მარა მოასწრო დამალვა. დაპატიმრებული აღმოჩნდა თფილისის მაზრის, ს. ნორის მცხოვრები ნიკოლოზ პადიაშვილი. ის ამა წლის მარტში გაგზავნილი იყო ადმინისტრატიული წესით თფ. საგენერალ-გუბერნატოროდან, მაგრამ თავისი ნებით დაბრუნდა თფილისში. მას თან უპოვეს „მაუზერის“ სისტემის რევოლვერი, რის ნებართვა მას არ აღმოაჩნდა.

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების კრება.** 18 აგვისტოს მოხდა ქართული დრამატიული საზოგადოების კრება. კრებამ განიხილა საკითხი თეატრის იჯარით აღების შესახებ. შემუშავებულ იქნა ხსენებული იჯარის ხელშეკრულობის პროექტი.

შემნახველ-გამსესხებელი კასა. თფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალურმა საზოგადოებამ განიხილა ამას წინათ მოხსენება შემნახველ-გამსესხებელ კასის დაარსების შესახებ, რომელიც წარდგენილ იქნა დასამტკიცებლათ უმთავრეს კომიტეტში. უმთავრესმა კომიტეტმა მოიწონა ეს აზრი და საბოლოოთ გადაწყდა დაარსებულ იქნეს ხსენებული კასა.

✦ **გამოძიება.** თფ. საგუბერნიო სამართველოს განკარგულებით დაინიშნა წინასწარი გამოძიება მე-4 საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწის მოადგილის, სამსახურიდან გამოსულ პრაპორშჩიკ ტერ-მარტიროსოვის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების 417 მუხ. აღნიშნული ბრალდება.

✦ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა შეპყრობა.** 18 აგვისტოს პოლიციამ მე-9 საპოლიციო უბანში დაპატიმრა თფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავისი ნებით დაბრუნებული ანდრეი მერაბაშვილი. მას პასუხისგებაში აძლევენ.

— იმავე დღეს ვოგზლის ქ. დაპატიმრებულ იქნა ადმინისტრატიული წესით თფ. საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული ვლ. ვალიევი.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 18 აგვისტოს მე-6 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დაპატიმრეს 5 კაცი, რომელთაც არ აღმოაჩნდათ პასპორტები.

სხვა და სხვა ამბები. 18 აგვისტოს ნახიჩევანის მაზრის მცხოვრებმა გლეხმა პეტროს დავიდიანცმა, რომელიც რიყის ქუჩაზე ცხოვრობს განაცხადა პოლიციაში, რომ ბალაყარის ქუჩაზე მცხოვრებმა თფილისის მოქალაქემ ბახშო კატესოსმა მოჰპარა მას 3 ფ. 14 გირ. ერბო. კატესოვი პოლიციამ დააპატიმრა.

— 17 აგვისტოს სადარაჯოზე მდგომ „გოროდოვოიმ“ მე-8 საპ. ნაწილში დააპატიმრა ქ. თელავის მცხოვრები სარქის ოსიპოვი, რომელმაც 16 აგვისტოს ოგანეზოვის სახელოსნოდან მოიპარა 36 ფუ. რეზინის ნივთები 15 ღირებული.

✦ **დაპატიმრება.** 18 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მე-5 საპოლიციო ნაწილის „გოროდოვოიმ“ დააპატიმრა თფილისის მოქალაქე ივანე ელ. მაისურაძე, რომელმაც განიზრახა თავის ძმის, ანდრია მაისურაძის მოკვლა. ის გამოტყდა, რომ ძმის მოკვლა უნდოდა, გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ხანჯალი.

— 18 აგვისტოს ოსიპოვის შესახვევში თფილისის მოქალაქემ გ. ნაზარიანცმა ჩხუბის დროს დასჭრა თფილისის მაზრის მცხოვრები იოსებ მიქელაძე. ნაზარიანცი დაპატიმრეს, ხოლო მიქელაძე გაგზავნეს მიხეილის საავათმყოფოში.

✦ **ცეცხლი.** როგორც ს. ქვიშხეთიდან გვატყობინებენ, 15 აგვისტოს ცეცხლი გასჩენია შიო ჩიტაძის ავარაკს. სახლი სულ ერთიანათ დამწვარა. ზარალი 400 მანეთამდეა.

წერილი შორეულ აღმოსავლეთიდან.

ჩინეთის ხალმარი ხამზადისი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

შორეულ აღმოსავლეთს ყოველთვის ერთგვარი ინტერესით როდი ეკიდებიან. ხან მას სრულიად ივიწყებენ და ჟურნალ-გაზეთებიც ერთ სტრიქონსაც ვერ იმეტებენ მისთვის, ხან კი, პირიქით, მხოლოდ მასზე ლაპარაკობენ, მხოლოდ მასზე სწერენ. სწორეთ ასეთი მომენტი დაუდგა ახლა შორეულ აღმოსავლეთს.

ყველაზე მეტს ლაპარაკობენ და სწერენ საზოგადოთ „ჩინეთის გამოღვიძების“ შესახებ. ბევრს სწერენ აგრეთვე იმაზე, თუ რომელ სახელმწიფოს როგორი გავლენა აქვს ჩინეთზე, მაგრამ ამ ჟამათ ყველას ყურადღება მიჰაქვსია ჩინეთის საომარ სამზადისზე.

ციმბირის გაზეთ „დაურსკაია ვოლნამ“ ვრცელი წერილი უძღვნა ჩინეთის საომარ სამზადისს და აფრთხილებს რუსეთის მთავრობას, რომ წარსულის გაკვეთილით ისარგებლოს და ისე მოუმზადებელი ნულარ შეხვდება ჩინეთთან მომავალ ომს, როგორც იაპონიასთან შეხვდა. რაც შეეხება ომს, რომ ის იქნება, რომ ჩინეთი ბეჯითად ემზადება რუსეთთან საომრათ და წარსულში „შეურაცხყოფისათვის“ სამაგიეროს გადასახდელათ, ეს ყოველ ეჭვს გარეშეთ მიაჩნია ხსენებულ გაზეთს. ხარბინის გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-საც უეჭველათ მიაჩნია ჩინეთის საომარი სამზადისი და დაცინვით ამბობს, რომ რუსეთის ბიუროკრატიას შინ დიდი თვალები აქვს და ყველაფერს (?) ხედავს, ხოლო გარეთ წინანდებურათ ბრმაა და ამიტომ შორეულ აღმოსავლეთშიაც ვერაფერს ხედავსო.

დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს აგრეთვე ის მართლაც და ფრიად საგულისხმო გარემოება, რომ ჩინეთის მთავრობა წინანდებურათ „თავაზიანათ“ აღარ ეპყრობა რუსეთის მთავრობას და თანდათან ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებს. ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოთხოვნილება, რომელიც ამ დღეებში წარუდგინა ჩინეთმა რუსეთს, არის შემდეგი: „სრულიად მოსპობილ იქნას მანჯურიის საზღვრებში რუსეთის ადმინისტრაცია და სასამართლო“. ჩინეთის რკინის გზის სამართველომ შეიმუშავა პროექტი ახალ მუნიციპიალურ მართველობის, რომელშიაც არის პუნქტი პოლიციის ქალაქის თვითმართველობის ხელში გადაცემის შესახებ. ამას გარდა ამ დღეებში გაზეთ „პრიამურიეს“ პირით ქვეყანას ემცნო ფრიად სერიოზული ცნობა, რომელიც მჭევრმეტყველურათ ამტკიცებს რუსულ ანდაზას: **нѣтъ дыма безъ огня.** გაზეთ „პრიამურიე“-ს სიტყვით, სინმინტინაში (მუკდენიდან 75 ვერ. დაშორებული) ყოველ დღე მოდის სამხედრო მატარებლები, რომლებითაც სამხრეთ ჩინეთიდან გადმოყავთ ქვეითი დივიზია, ევროპიულათ გაწვრთნილი და შეიარაღებული და საარტილერიო ნაწილი, მათ შორის სამთო არტილერიაც. ჯარს სხამენ სიმინტინში, აქედან კი, როგორც ხმები დადის, გაგზავნიან ნინგუტაში, სადაც შეადგენენ მუდმივ გარნიზონს.

ჩრდილოეთ მანჯურიაში ჩინეთის ჯარის გადმოყვანა საუკეთესო მჭვრეტელია იმის, რომ ჩინელები ვეღარ მოუთმენლად ბიან თავიანთ მეგობრული დამოკიდებულების შესახებ რუსეთთან პლატონიური მოკლე პასუხებით და ჯარს გზავნიან იმ ადგილებში, რომლებიც, მათი გამოანგარიშებით, მომავალი ომიანობის თეატრი უნდა გახდეს. ჩრდილოეთ მანჯურიაში ჯარების გადმოყვანა, რასაკვირველია, აგრესიულ მოქმედებას არ ნიშნავს, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ „მშვიდობის მოყვარე“ ჩინეთი შემდეგ პრინციპს მისდევს: „თუ გსურს მშვიდობიანობის დაცვა, ემზადე საომრათ“. და თუ ჩინეთი დამოუკიდებელ ომისათვის არ ემზადება, ყოველ ეჭვს გარეშეა, ის აქტიურ ზომებს ღებულობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხმა მაღლა მოითხოვოს მანჯურიაში თავის უფლების აღდგენა. ამას მშვენიერათ მოწმობს ის გაბედული და მკვახე მოთხოვნები, რომლებსაც ამ უკანასკნელ დროს უდგენს ის რუსეთის მთავრობას, ამ მხრით ჩინელები არც თუ იაპონიას უსვამენ თავზე ხელს საალერსოთ. ადრე თუ გვიან, როგორც რუსეთისაგან, ისე იაპონიისაგანაც მოითხოვენ თავიანთ უფლებების აღდგენას. და ეს მომენტი, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვს დღეს ჩინეთის მთავრობის მოქმედების შესახებ ჩრდილოეთ მანჯურიაში, შესაძლებელია ისე ადრე და მოულოდნელათ დადგეს, როგორც მოულოდნელი იყო ევროპიელთათვის ბოქსერების აჯანყება. ასეა თუ ისე, ყოველ ეჭვს გარეშეა და ყველა თვალხილულისათვის აშკარაა, რომ შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე ღრუბლები გროვდება, რომლებიც თანდათან შავათ იღებებიან. მართალია, ჩინეთის დიპლომატები ირწმუნებიან, რომ განსვენებულმა ბოგდიხანმა დაუბარა მათ 11 წლის განმავლობაში არავის ეომონ, რადგან მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში შესძლებენ თავის ჯარის სრულიად ევროპიულათ გაწვრთვნას და ძლიერი ფლოტის შექმნას, მაგრამ ამით მხოლოდ გულუბრყვილობას თუ დააჯერებენ.

რუსეთის ახლო სმზღვრებზე ჩინეთი ჯარებს გზავნის და ადგილებს ამაგრებს, რუსეთის ბიუროკრატია, იმის მაგიერ, რომ ზომები მიიღოს მომავალ სისხლის ღვრის წინააღმდეგ, ან ისე მოუმზადებელი აღარ შეხვდეს მას, როგორც იაპონიასთან ომს, „კრამოლის“ წინააღმდეგ საბრძოლველ საშვალებების გამოძენას განაგრძობს.

რუსეთის მთავრობა, როგორც ჩვეულება აქვს, ალბათ, მაშინ გადაიწერს პირჯვარს, როცა შეხი გავარდება, მაგრამ პირჯვრის წერამ და ხატებმა იაპონიასთან ომის დროსაც არ დააყარა ხეირი.

მანჯურია, 1 აგვისტო. ლ. ბ.

პროვინციის ქრონიკა

—

ს. დიდი-ჯიხაიში. კვირას, 9 აგვისტოს აქ მოხდა საზოგადოების კრება. კრებამ გადასწყვიტა დაარსონ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. სამი წლის განმავლობაში შესანახი ხარჯი მონუდება საზოგადოებას 1500 მანათი, შემდეგ კი ხაზინის ხელში გადავა. მოახლოვდება ხონის რაიონის სარწყავი წყლის მოხელეების არჩევნები და მირაბის ადგილმა ბევრს აღუძრა მადა. საჭიროა შესაფერი კაცი აირჩიონ, რომ წყლის საქმე რიგიანათ მოეწყოს.

—

საჯევახოს მხარე. 13 აგვისტოს აქ ძლიერი ქარი ამოვარდა და სრულიად გაანადგურა ხილეულობა. ყანებსაც დიდი ზარალი მიაყენა.

—

ქ. ჩარჯუ (შუა აზია) აქაურმა ქართველებმა ფ. რუხაძემ, ე. დვალმა და გ. მჟავიამ დააარსეს ბიურო, რომ უსაქმოთ დარჩენილ ქართველებს დახმარება გაუწიონ და უკეთუ ალაგს ვერ იშოვნიან სამგზავრო ფულს აძლევენ და სახლში ისტუმრებენ. ჯერ-ჯერობით დახმარება აღმოუჩინეს სამ კაცს. ეჭვი არაა, ასეთი სიმპატიური საქმისთვის მადლობის ღირსნი არიან ზემოხსენებული პირნი. იმედია განაგრძობენ ამ კეთილ საქმეს.

კორესპონდენცია

კახეთი. დიდი ხანია კახეთი ცნობილია როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეთაგანი, მაგრამ აქამდისინ აზრად არავის მოსვლია ეზრუნა რამე ამ მხრივ. დავამტკიცოთ მაგალითებით.

ავიღოთ სწავლა-აღზრდის საქმე:

ს. ენისელში ეს ოთხი წელიწადია, რაც ადგილობრივი სასწავლებელი ადმინისტრაციას დაუკეტია. სასწავლებლის დახურვის მიზეზი, როგორც გადმოგვცეს, შემდეგი ყოფილა: 1905 წ. მოძრაობის დროს ენისელისა და გრემის მცხოვრებთ, მაშინდელი მასწავლებელი გაუძევებიათ მიზეზი გაძევებისა, სწორეთ ვერ შევიტყვეთ) და მის ადგილას ახლის დანიშვნა ეთხოვიათ. ადმინისტრაციას მაშინ „სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო“ გარკვეული პასუხი არ მიუცია. შემდეგ კი, ე. ი. რეაქციის გამეფებისათანავე ადმინისტრაცია შემდეგ ულტიმატუმს უყენებს გლეხებს: თუ იმ ორ „მჭადაგებელს“, რომელნიც ბრძანებლობდენ აქ 1905 წ. დაიჭერთ და მოგვცემთ, მასწავლებელს დაუყოვნებლივ გიშოვნითო; წინააღმდეგ შემთხვევაში კი თქვენ მასწავლებელს თავის დღეში არ ელირსებითო...

ამგვარ ახირებულ მდგომარეობაშია დღეს ეს სოფელი.

არა უკეთეს მდგომარეობაშია ს. ყვარელიც, აქაური მცხოვრებნი მოკლებულნი არიან ყოველგვარ საქიმო დახმარებას. ს. ყვარელი, თელავის მაზრაში ყველაზე უდიდესი სოფელია: ცხრაასზე მეტი კომლი ითვლება და ამოდენა ხალხს არა ჰყავს არც ექიმი, არც ფერშალი და არც ბებია. ყველაფერი სოფლის ექიმბაშების ხელშია. მძიმე ავათმყოფები თელავში მიყავთ ექიმთან. ხშირათ ავათმყოფებს გზაში ხვდებათ სიარული. ამგვარი მაგალითები ძლიერ ხშირათ ხდება, მაგრამ ეს სრულიად არავის არ აფიქრებს.

ვ. კახელი.

მუშათა შორის

ჭიათურა. 1898 წლიდან 1906 წლამდე ს. დარკვეთში არსებობდა შავი ქვის სარეცხი ქარხანა. ქარხანა ეკუთვნოდა უსახელო საზოგადოებას. ამ საზოგადოებამ მოაწყო ქვის გადმოსატანი მანქანაც და ამით გარეთ დარჩენ ბევრი მეურმე-ჩადგადრები, რამაც დიდი უკმაყოფილება დაბადა მომუშავე კლასებში, აქა იქ მუქარაც კი ისმოდა ქარხანაზე თავდასხმის შესახებ. ბოლოს უკვლა მტრული თვალით უყურებდა ქარხანას, როგორც მუშები, ისე ადგილის მეპატრონეებიც, მაგრამ ბოდის ასე თუ ისე შეიგნეს მუშებმა ქარხნის არსებობის სარგებლობა და სხვებსაც დაუწყეს რწმენება მის სასარგებლოში.

ქარხანაში ერთი-მეორეზე მუდმ მუშაობდა 600 კაცამდე, ხელფასიც შესაფერი ეძლეოდათ. ასე და ამნაირათ, მუშაობდა 1905 წლამდე. 1905 წელს აქაც მოითხოვეს ბრობების გაუმჯობესება, რაც სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა კიდეც. შემოიღეს 8 საათის სამუშაო დრო, ხელფასის მომატება, ბინების ჰიგიენურათ მოწყობა, „ბდაშჩები“ და ჩექმები, ვინც წუღში მუშაობდა და სხვ.

მდგომარე წლის 20 მაისიდან ხელახლა გაიხსნა ქარხანა ბერძნების საზოგადოების მიერ. მუშაობა დაიწყეს ამ ქარხანაში წინანდელთან შედარებით აუტანელი ბირობები შემოიღეს. დაზე არც ფუდის დარიგებაა, რაც ეს იყო უწინდელ ფირმის ხელში, არც ის ფასები, არც სამოსი, რომელიც აუცილებელია მუშისთვის, რაც სამუშაოს ათავებს, არც საწოლი ოთახები, სადაც შეეძლოს მუშას, ცოტათი მაინც თავისუფლათ ამოისუნთქოს. ხშირია მუცლის ტკივილით ავადმყოფობა. გახდება მუშა ავათ თუ არა, ეშურებიან, რომ სავადმყოფოში წაიყვანონ, მაგრამ ამაზე დიდათ ოაყს არავინ არ იცხელებს. საავადმყოფოს ყველა მწარმოებლებისათვის, რომ უოველ ორშაბათიდან სამუშაოდ გამოსულ მუშას ბილეთი მისცეს, რომელზედაც ეწერება ავადმყოფობის დრო, ამ ბილეთით მიდის მუშა ექიმთან, ექიმი ან ამოწმებს ავადმყოფობას, ან არა და მუშა ისევ სამსახურში მიდის. ამ ბილეთის ხათრით ექიმი ხშირად ავადმყოფობას ამოწმებს, ხოლო ბილეთის ფასი ექიმისა 50 კაპ. ამ ბილეთის ფასი ექიმისა 50 კაპ. ამ ბილეთის ფასი ექიმისა 50 კაპ. ამ